# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 26/12-3

(გამარტივებული შესყიდვების შესახებ)

ჭიათურა 26 დეკემბერი 2016 წ.

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ სსიპ „ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“ (ს/კ:215593043), მისამართი: ქ. ჭიათურა, ჭავჭავაძის ქ. №15, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა წერეთლის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ ინდივიდუალური მეწარმე “მაია კაპანაძე” (ს/კ:54001044058), მისამართი: ჭიათურა, აღმაშენებლის ქ. №1, შემდგომში „მიმწოდებელი“, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის და სახელმწიფო თეატრების შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის №99 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია:. საფეიქრო ნაწარმისა და მასთან დაკავშირებული ნივთების, კერძოდ ქსოვილების მიწოდება.კლასიფიკატორის კოდი: CPV-19200000

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 340.00 (სამას ორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების ჩათვლით.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი იღებს ვალდებულებას:

4.1.1. მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დროულად აუნაზღაუროს მოწოდებული საქონლის ღირებულება.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.2.1. მიაწოდოს “შემსყიდველს” ნივთობრივად და უფლერივად უნაკლო და ხარისხიანი საქონელი ხელშეკრულების 2.1. მუხლის შესაბამისად.

4.2.3. მიაწოდოს საქონელი “შემსყიდველს” მოთხოვნილებისამებრ შეთანხმებულ ვადაში,.

4.2.4. საქონლის მიწოდება განახორციელოს 2016 წლის 30 დეკემბრამდე.

## 5. ანგარიშსწორება

5.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

5.2. მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს და/ან შესაბამის დოკუმენტაციას რაც სავალდებულოა ორივე მხარისათვის და საბოლოო ანგარიშწორებისათვის.

5.3. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მომწოდებელს მიღება-ჩაბარების აქტის და/ან შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულებას.

5.4. საქონლის ეტაპობრივად მიწოდების შემთხვევაში ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი მომწოდებელს ეტაპობრივად გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსაწოდებელი საქონლის ღირებულებას წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და/ან შესაბამის დოკუმენტაციის მიხედვით.

5.5. მიმწოდებლის მიერ თუ არ იქნება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების შესაბამისი საქონლის მიწოდება (შემსყიდველი არ მისცემს შესაბამისი მოცულობის საქონლის დაკვეთას) მაშინ მოხდება ხელშეკრულების ღირებულების ავტომატური შემცირება.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამნოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 2 დღით ადრე.

7.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკების პროცესში მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.2. თუკი ასეთი მოლაპარაკების გზით მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9.2. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 3 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

10.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაღვრება 2016 წლის 26 დეკემბრიდან - 2017 წლის 01 თებერვლის ჩათვლით.

## 11. სხვადასხვა

11.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლიარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:
სსიპ „ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო დრამატული თეატრი“-ს დირექტორი: /ნ. წერეთელი/
ქ. ჭიათურა. ჭავჭავაძის ქ. №15
ს/კ: 215593043
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: 708417015

მიმწოდებელი:
ი.მ „ მაია კაპანაძე“ : /მ. კაპანაძე/
ს/კ: 54001044058
მის: ქ. ჭიათურა, აღმაშენებლის ქ. #1
მომსახურე ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE44LB0711113262838000